შ.პ.ს. "მშენებლობა და ექსპერტიზა"

ქ. თბილისი. თვალჭრელიძის ქ. №1
ადმინისტრაციული და საწარმოო ნაგებობების
ტექნიკური მდგომარეობის ჯვლევა

ბლოკი G

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

ქ. თბილისი 2015წ

შინაარსი

1 განმარტებითი ბარათი

2 კალენდარული გეგმა

3 გრაფიკული ნაწილი:
მო-1----------სამშენებლო გენგეგმა
მო-2----------სამონტაჟო სქემა

განმარტებითი ბარათი

1 სარეკონსტრუქციო შენობა, ბლოკი G მდებარეობს ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. №1.

ერთსართულიანი შენობა შესდგება ანაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციებისაგან, გადახურულია წამწეებით და ანაკრები ფილებით. გარე კედლები -- პემზობეტონის ანაკრები პანელებისაგან.

წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს:

-კარ-ფანჯრების ამოღებას;
-სახურავის მოხსნას;
-გარე კედლების დემონტაჟს;
-გადახურვის ფილების დემონტაჟს;
-წამწეების და სვეტების დროებითი გამაგრების სივრცითი სისტემის მოწყობას;
-შუა ნაწილში ანაკრები კონსტრუქციებისაგან ანტრესოლის დემონტაჟს;
-დროებითი სახურავის მოწყობას.

2 სამშენებლო ორგანიზაცია ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს: ხალხის გაყვანა სადემონტაჟო უბნიდან, ხეების გადაბელთვა, გარე და შიგა ქსელების გამორთვა /არსებობის შემთხვევაში/, სახურავის "გასუფთავება", "დროებითი შენობები"ს დაყენება შიდა ეზოში ჯგუფურად, არსებული ღობის და ჭიშკრის გამოყენება, სადემონტაჟო სამუშაოების უბნის შემოღობვა დროებითი ფარებით, სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქალაქის ქსელებიდან, აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაობის შესახებ.

3 სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით.

აკრძალულია: სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება ორი-სამი კონსტრუქციის ერთად. სამუშოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული: ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება /საჭიროების შემთხვევაში/, მუშების სათანადო

ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ქამრებით და სათვალეებით, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

ანაკრები კონსტრუქციების აღება გათვალისწინდეს მუხლუხასავალიანი ამწე **СКГ-40.63 H=25.0, L=20.5** ამწის მიბმა გათვალისწინდეს 5.0-6.0მ-ზე გარე ღერძიდან. გარე პანელების მოხსნის დროს ამწემ უნდა იმოძრაოს შენობის გარე კონტურის პარალელურად. პროექტით გათვალისწინებულია საავტომობილო ამწე КС-3575А –ს გვერდითი ფასადიდან და ბლოკების შორის ფასადიდან საკედლე პანელების მოხსნისას.

სამუშაოების დაწყებამდე **უნდა მოხდეს**:
-სპეციალური ტრავერსების შემოტანა;
-სადემონტაჟო კონსტრუქციების "გაშიშვლება";
-კონსტრუქციების შორის ნაყერების გახსნა;
-სამონტაჟო ყულფების შემოწმება;
-საჭიროების შემთხვევაში ახლის გაკეთება.

მუხლუხასავალიანი ამწის მუშაობისას **უნდა მოხდეს**:
-საშიში ზონის შემოღობვა დროებითი ფარებით;
-გადახურვის ფილების დემონტაჟი თანმიმდევრულად, კარკასის თანაბარი განტვირთვის თვალსაზრისით /იხილე ნახ. მო-2/;
-**აუცილებლად** დარჩენილი სვეტების და წამწეებისათვის ლითონის **სივრცითი გამაგრების მოწყობა**;
-ორივე ამწის მუშაობის დროს მარეგულირებელი მემონტაჟის დაყენება.

ყურადღება!!! ა/ ამწის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად

ბ/ სასურველია ბლოკი И და ბლოკი В, Е, და Т სამუშაოების განხორციელება არ მოხდეს ერთდროულად.



ექსპლიკაცია

1 სარეკონსტრუქციო შენობა --ბლოკი И
2 სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი /კონტ./
3 დროებითი ჯვების ოთახი /კონტ./
4 დროებითი საგარდერობო /კონტ./
5 დროებითი დახურული საწყობი /კონტ./
6 დროებითი ბიოტუალეტი 2 ადგილზე
7 დროებითი ფარდული
8 დროებითი საარმატურო /კონტ./
9 დროებითი საყალიბე /კონტ./
10 დროებითი ღობე
11 დროებითი ჭიშკარი --2 ცალი
12 მუხლუხასავალიანი ამწე
13 დემონტირებული ნაწილების მოედანი
14 დროებითი ფარები

პირობითი აღნიშვნები

-სარეკონსტრუქციო შენობა
-არსებული შენობები
-დროებითი "შენობა"
-დროებითი ღობე
-დროებითი ფარები

შენიშვნები:

1 სასურველია, ბლოკი G და ბლოკი C, F, B ს სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება მოხდეს სხვადასხვა დროს.
2 შეზღუდული პირობების გამო საყრდენი პანელების მოხსნა ორივე გრძივი ფასადიდან შეიძლება განხორციელდეს ერთ მხრიდან.
3 სამონტაჟო მექანიზმის მარჯა შეიძლება შეცვლილი იქნას სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად

შ.პ.ს. "მშენებლობა და ექსპერტიზა"			ქ. თბილისი. თვალჭრელიძის ქ. №1 ადმინისტრაციული და საწარმოო ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევა		
			ბლოკი G	დაკვეთა №	
დირექტორი	ო.მხეიძე				
შეასრულა	ბ. გოგოლაური		სამშენებლო გენგეგმა	ფურც	ფურცლები
შეამოწმა	ო.მხეიძე			მო-1	2
				თარიღი	30.06.15



შენიშვნები:

1 გადახურვის ფილების დემონტაჟი მოხდეს თანმიმდევრობით დარჩენილი ჯარჯასის თანაბარი განტვირთვის თვალსაზრისით.
2 ანაკრები გადახურვის ფილების დემონტაჟის შემდეგ გათვალისწინდეს დროებითი ლითონის სივრცითი გამაგრების სისტემა დარჩენილი კონსტრუქციებისათვის

შ.პ.ს. "მშენებლობა და ექსპერტიზა"			ქ. თბილისი. თვალჭრელიძის ქ. №1 ადმინისტრაციული და საწარმოო ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევა	
			ბლოკი G	დაკვეთა №
დირექტორი	ო.მხეიძე			
შეასრულა	ბ. გოგოლაური		სამშენებლო გენგეგმა	ფურც / ფურცლები
შეამოწმა	ო.მხეიძე			მო-1 / 2
				თარიღი 30.06.15

4 ვინაიდან მშენებლობის ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად, ხანგრძლივობა პირობითად მიღებულია **6 თვე** სამუშაოთა მოცულობიდან გამომდინარე.

5 სამუშაოების განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების მიხედვით – **“მშენებლობის უსაფრთხოების წესები”**

მანქანა-მექანიზმების უწყისი

N	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ერთ გან.	რ-ბა
1	სამშენებლო ლითონის კიბე ბაქნით	ც	2
2	საკომპრესორო დანადგარი	ც	1
3	სანგრევი ჩაქუჩები	ც	2
4	ნიჩაბი	ც	4
5	ელექტროსახერხი	ც	2
6	სპეცტრანსპორტი	ც	4
7	მუხლუხასავალიანი ამწე	ც	1
8	საავტომობილო ამწე	ც	1
9	ექსკავატორი /ნაგვის დატვირთვა/	ც	1

მუხლუხასავალიანი ამწე СКГ-40/63-ის ტექნიკური დახასიათება

1 კოშკის სიმაღლე----------25.00მ
2 ბატიტელის სიგრძე----------20.50მ
3 ისრის შვერა----------10.00-22.30მ
4 ტვირთამწეობა----------10.00—5.00ტნ
5 აწევის სიმაღლე----------43.50-24.50მ
6 ამწის წონა----------69.40ტნ

საავტომობილო ამწე KC-3575A-ის ტექნიკური დახასიათება

1 ისრის სიგრძე----------9.50მ
2 ისრის შვერა----------2.85-8.6მ
3 ტვირთამწეობა----------2.00-10.00ტნ
4 აწევის სიმაღლე----------10.30-1.50მ

კალენდარული გეგმა T=3.0 თვე

N	სამუშაოს დასახელება	დღე	1 თვე						2 თვე						3 თვე					
			5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
	მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები																			
1	მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება /იხილე პროექტის განმარტებითი ბარათი/	15																		
	ძირითადი პერიოდის სადემონტაჟო სამუშაოები																			
1	კარ-ფანჯრების ამოღება	165																		
2	სახურავის მოხსნა																			
3	გარე კედლების დემონტაჟი																			
4	გადახურვის ფილების დემონტაჟი																			
5	წამწეების და სვეტების დროებითი გამაგრებითი სივრცითი სისტემის მოწყობა																			
6	შუა ნაწილში ანაკრები კონსტრუქციებისაგან ანტრესოლის დემონტაჟი																			
7	დროებითი სახურავის მოწყობა																			
	საერთო სამუშაოები																			
1	სამშენებლო ნაგვის გატანა	-																		
2	სხვადასხვა სამუშაოები	-																		